ინფორმაცია

ახალი წლის მზადებასთან დაკავშირებით გასატარებელ

ღონისძიებათა შესახებ

მოგახსენებთ, რომ დამდეგი 2018 წლის აღსანიშნავად გამგეობის კულტურის განყოფილების მიერ დაგეგმილია საახალწლო კონცერტი, რომლის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თვითშემოქმედებითი კოლექტივები. წინა საახალწლო კვირეულის ფარგლებში საზეიმო ღონისძიებები ჩატარდება სხვადასხვა ა.(ა).ი.პ.-ში, კერძოდ: სამუსიკო სკოლა, სახვითი ხელოვნების გალერეა, სამხატვრო სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სსსმ „მომავალი“ და კულტურის ცენტრი. ა.(ა).ი.პ. კომუნალური სამსახური „სხივი“ განახორციელებს საახალწლო ილუმინაციების დამონტაჟებას. მ/წ 25 დეკემბერს ხელოვნების სასახლის წინა პერიმეტრზე დაიდგმება ნაძვის ხე, მოეწყობა სასახლესთან მისასვლელი სკვერი, განათდება დუმბაძისა და კალანდაძის სკვერები და მთლიანად დუმბაძის ქუჩა. მ/წ დეკემბრის 1-ელ კვირას, საკონცერტო პროგრამის მონაწილეებისათვის ჩატარდება მოსმენა. რის შემდეგაც მივიღებთ ნათელ სურათს, საზეიმო პროგრამის სრულყოფილი წარდგენისა დამსწრე საზოგადოებისათვის. საახალწლო კონცერტი დაიწყება 31 დეკემბერს 21:30 სთ-ზე, დასრულდება ფეიერვერკით 24:00სთ. (მოწვეული სპეციალისტები). საახალწლო საკონცერტო ზეიმი ჩატარდება ხელოვნების სასახლის შესასვლელთან (კოლონებთან). საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე უსაფრთხოების მიზნით მობილიზებული იქნება: პოლიცია, სახანძრო - სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების 112 - ბრიგადები. ინფორმაცია საახალწლო კონცერტის ჩატარებაზე დაიბეჭდება პრესაში. ასევე, დაიბეჭდება აფიშები და მათი გავრცელების არეალი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულები, მათში შემავალი სოფლებით. უკვე დაწყებულია შემოქმედებითი საქმიანობა კულტურის ცენტრთან არსებული სახალხო თეატრის მიერ, რომელიც ამზადებს საბავშვო საშობაო სპექტაკლს, სახელწოდებით „საშობაო ზღაპარი“, სადაც უფროსებთან ერთად ჩართულია საჯარო სკოლებიდან არჩეული ნიჭიერი ბავშვები. სპექტაკლის ჩვენება (პრემიერა) გაგრძელდება 2 დღეს, რათა მაქსიმალურად მოხდეს დამსწრე-საზოგადოების დაკმაყოფილება. „საშობაო ზღაპარი“-ს ჩვენების შემდეგ გაიცემა საახალწლო საჩუქრები 1 მოსაწვევზე 1 (ერთი) საჩუქარი-ღირებულებით 5 (ხუთი) ლარი. ამასთანავე, საჭიროებისამებრ დასაკმაყოფილებელი იქნება მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრავს სასცენო დადგმისათვის მოსაწყობი დეკორაციების დამზადებას, მუსიკალურ გაფორმებას, განათებას , დარბაზის გათბობასა და სხვ. საზეიმო ღონისძიებებს დაესწრება შ.შ.მ.-პირები, რომლებიც გაწევრიანებულნი არიან ა.(ა).ი.პ. კავშირი-„გზა იმედისკენ“-ორგანიზაციაში.